

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის
თეატრალური ხელოვნების განვითარების
ფ ო ნ დ ი
Tumanishvili Theatre Foundation

ქართული პიესა
2012

გამომცემლობა „კენტავრი“
თბილისი
2013

ირაკლი ცხადაია

ლურჯი თოვლი

სცენა I

სუსა ზის სკამზე და მოდის ზუზუ ბოთლით ხელში (ზუზუს წითელი შარვალი აცვია, თმები აჩეჩილი აქ და საყურე უკეთია, თანამედროვედ არის ჩაცმული).

უკნიდან მოეპარება და თვალებზე ხელებს შემოახვევს.

სუსა – ზუზუ!
ზუზუ – ჩემი ანგელოზი, როგორ ხარ? (გადაკოცნის)
სუსა – ისევ მთვრალი ხარ?
ზუზუ – სუ ცოტა დავლიე, აი ამდენი. (ხელით გადაზომავს)
სუსა – ხომ შემპირდი, აღარ დავლევო?
ზუზუ – ო, დამავიწყდა ე!
სუსა – შეხედე შენს თავს, რას გავხარ, შეხედე, როგორი მთვრალი ხარ!
ზუზუ – მთვრალი არ ვარ, ხო გეუბნები, ამდენი დავლიე - თქო, ამდენი!
სუსა – უკვე აღარ შემიძლია შენნაირი ლოთის ყურება, ყელში ამოვიდა ეს არყის სუნი და შენი სისულელეები, ბოლოს და ბოლოს უნდა აირჩიო, ან მე, ან ეგ ბოთლი!
ზუზუ – ეე ამას რას ერჩი! (ბოთლს აკოცებს)
სუსა – რა გჭირს, რატომ ცდილობ, საშინელი გამოჩნდე! რა დღეში ხარ, გააფრინე ხო? მორჩა, მორჩა! (ზუზუ უეცრად და მაგრად ჩაიკრავს მას)
ზუზუ – სუსა, ხო იცი, როგორ მიყვარხარ? მორჩი!
სუსა – ხო, ზუზუ, მოვრჩები, მოვრჩები და წავალ.
ზუზუ – მაშ ეგრე, არა? ისეთს ვერ მიღებ, როგორიც ვარ, ხო და ბიჭები დაილია? წადი, სადაც გინდა, შენ თუ გგონია, ამ ას გრამს ჯობიხარ მაგრად ცდები! ეს არ წუწუნებს!
სუსა – არა, მე მართლა წავედი! შენთან ყოფნა აუტანელია, თვითონაც არ იცი, რას ამბობ, ბრადიაგა ხარ, პათოლოგი.
ზუზუ – ხო და წადი შენი ... (სუსა მას სილას გააწნავს)
სუსა – ჩემი სახელი დაივიწყე და საერთოდ რომ ვარსებობ, არასდროს არ მოხვიდე ჩემთან, არასდროს. (სუსა წავა)
ზუზუ – ვახ, ჩემი... (იტყვის და სკამზე ჩამოჯდება)

სცენა II

მოქმედება სუსას, ზუზუ მივა სუსას ძმასთან რომელიც მისი მეგობარია (მისი ძმა ნოდიკო ხეიბარია და ინვალიდის ეტლში ზის).

ზუზუ – სუსა სახლშია?
ნოდო – ვინ?
ზუზუ – რა ვინ? სუსა, შე ჩემა, შენი და.
ნოდო – ა, არა, დაქალთან წავიდა.
ზუზუ – რომელ დაქალთან?
ნოდო – არ უთქვამს, ნასვამი ხარ?
ზუზუ – ჯერ კიდევ არა, სასმელი გაქ? (კარიდან გამოვა და კარადაში სასმლის ძებნას დაიწყებს)
ნოდო – ისევ იჩხუბეთ, არა?
ზუზუ – სად არის?
ნოდიკო – მანდაა, ზედა თაროზე! (ზუზუ გამოიტანს ბოთლს და მაგიდას მიუჯდება)
ნოდიკო – ჰა, ფრთხილად, ეგ მაგიდა გატეხილია.
ზუზუ – რა ჭირს?
ნოდიკო – არ გახსოვს? (მაგიდის ფეხს მოკიდებს ხელს)
ზუზუ – ა, ხო! მერე ხო გავაკეთე ეგ?
ნოდიკო – ეტყობა რამე?
ზუზუ – მართლა გავაკეთე, ბიჭო, რა გინდა? (გადაკრავს)
ნოდიკო – რამდენს სვამ? ასე ძაან იჩხუბეთ?
ზუზუ – ნუ მეკაიფები შე ჩემა! (ცოტა ხნის შემდეგ წამოდგება) მემალება ხო? ხო და დამემალოს, არც მოვძებნი, არ დამიწყო აქ – „ლოთი ხარ, აირჩიე ან მე ან სასმელი” და იდიოტური ლაპარაკი. ხო და არც არავის სჭირდება, ძმაო. მეტი საქმე არა მაქ გოგოს ჭკუაზე ვირბინო, რა!
ნოდიკო – კაი, ნუდარ ლაპარაკობ კომუნისტი ქართველი კაცივით.
ზუზუ – მორჩა, მკიდია, არ დალიოო არა, აი (მთელ ბოთლს მოიყუდებს და ჩაცლის), სადაც უნდა იქ წავიდეს, ვის რაში სჭირდება? მე ვიპოვი ვინმეს, მაგან იკითხოს, თორემ ჩემზე გოგოები გიჟდებიან, ჭკუა ეკეტებათ. (დაიწყებს სიცილს, დიდ ხანს იცინის და მერე სიცილი ტირილში გადაეზრდება, კედლებშუა ჩაჯდება, თავს ხელებში ჩარგავს და ტირის)
ნოდიკო – კაი, ბიჭო, ორ დღეში გაუვლის და ყველაფერი კარგად იქნება.
ზუზუ – შენ რა იცი?
ნოდო – ჩემი დაა, შე ჩემა.
ზუზუ – მოიცა, რა!
ნოდო – კაი, მოეშვი და ჯობია, ის მაგიდა გამიკეთო, სანამ თავზე დამმხობია.
ზუზუ – ბიჭო, გავაკეთე - თქო ეს დამპალი მაგიდა, რამდენჯერ გითხრა? (მაგიდაზე ავა და ცეკვა - ხტუნვას დაიწყებს) აი, თუ არ შევაკეთე, ხედავ რა მყარია (გაჩერდება მაგრად დაახტება მაგიდას, მაგიდას ფეხი მოსტყდება და აყირავდება)
ნოდიკო – ცოცხალი ხარ, ბიჭო?
ზუზუ – მგონი კი!
ნოდიკო – ახლაც არ აპირებ მაგიდის შეკეთებას? (სიცილს დაიწყებენ)
ზუზუ – ეჰ, ნოდიკ, ნოდიკ.
ნოდიკო – ზუზუ, გვიანია აწი, ჩემთან დარჩი ბარემ, ერთად მოვიფიქროთ სუსას პონტში რამე, თან პატარა საქმეც გაქ. (მიუთითებს მაგიდაზე)

სცენა III

ნოდიკო – გაიღვიძე, ბიჭო?
ზუზუ – ხო, თითქმის.
ნოდიკო – რა დღეში იყავი გუშინ ე?
ზუზუ – რა ვიცი, აბა.
ნოდიკო – ლუდს დალევ?
ზუზუ – კი.
ნოდიკო – ჩემს დას როდის ურიგდები?
ზუზუ – მორჩა რა, ყველაფერი გათავდა, მომბეზრდა, აღარ ვაპირებ სულ ბოდიშები ვუხადო.
ნოდიკო – შენ სულ მასე ამბობ!
ზუზუ – ხოდა, ეს ბოლო იქნება. (კარზე ზარია, ნოდიკო გააღებს და სუსა შემოვა)
ნოდიკო – სუსა!
სუსა – ნოდიკო, როგორ ხარ?
ნოდიკო – ძველებურად.
სუსა – უჩემოდ მოიწყინე?
ნოდიკო – სად მეცალა მოსაწყენად. (წამოწოლილ ზუზუს ბალიშს ესვრის)
ზუზუ – ნოდიკ, მოგკლავ, შენი... (შემობრუნდა და სუსა რომ ნახა, ეგრევე წამოდგა, სიგარეტი ჩააქრო, ტანსაცმელი გაისწორა, საწოლი) სუსა?
ნოდიკო – მე წავედი, სად მაქ სენტიმენტების თავი.
ზუზუ – როგორ ხარ?
სუსა – კარგად, (ნაწყენი ხმით იტყვის)
ზუზუ – გუშინ ანჩოსთან იყავი?
სუსა – არა, ნინისთან.
ზუზუ – იცი, მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. სულ შენზე ვფიქრობდი, სუსა, არ ვიცი, იმ დღეს რა ჯანდაბა მეტაკა, მაპატიე რა. ხო იცი, როგორ მიყვარხარ? უშენოდ როგორ უნდა ვიცხოვრო? ან რად მინდა ცხოვრება? ჩემი ცხოვრების აზრი ხომ შენ ხარ. (მიუახლოვდა) მაპატიე რა, სუსა, შენ ოღონდ მაპატიე და შენს თავს ვფიცავარ, ერთ წვეთსაც აღარ დავლევ. გუშინ კინაღამ გავგიჟდი უშენოდ, შენ ალბათ ერთხელაც არ გაგხსენებივარ, არა? აბა რა, რატომ უნდა გაგხსენებოდი, ჩვეულებრივი ლოთი რა გასახსენებელია, ლოთების მეტი რაა – უბანში ერთით ნაკლები, ერთით მეტი. კაი, წავედი, სადმე ქუჩაში დავიკარგები, ძველი ხიდის ქვეშ, რომ გადამიარონ და ზედ მაფურთხონ, ვიშიმშილებ, გავცივდები და თუ გამიმართლა სადმე მკვდარსაც მიპოვნიან. (მიდის)
სუსა – მოიცადე.
ზუზუ – რა იყო?
სუსა – მოიცადე, არ წახვიდე, ზუზუ, მეც მენატრებოდი, ზუზუ, მეც მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს, მეც მიყვარხარ, მიყვარხარ, ზუზუ. (მიირბენს, ჩაეხუტება) გაპატიე, ზუზუ, გაპატიე!

სცენა IV

სცენა სახურავზე - ზუზუ და სუსა.

ზუზუ – ხო, მაგარი ადგილია?
სუსა – კი ძაან, მთელი ქალაქი თითქოს ხელის გულზეა, ეს ადგილი ბევრ რამეზე მაფიქრებს.
ზუზუ – მაინც რაზე?

სუსა – რა ვიცი, ცხოვრებაზე, მომავალზე.
ზუზუ – მერე და რამე საინტერესო თუ ხდება შენს მომავალში?
სუსა – არ ვიცი, მაგრამ მინდა მომავალში უბრალო ადამიანივით ვიცხოვრო, მინდა პედიატრიც გავხდე და ბავშვებს ვუმკურნალო, კიდე ძალიან ბევრი შვილი მინდა მყავდეს.
ზუზუ – ამას დამიხედე, რა ადრე დაგიწყია მაგაზე ფიქრი.
სუსა – კარგი რა! მე სხვა რამეზე გელაპარაკები. მერე სიბერეში მინდა რომ წიგნი დავწერო.
ზუზუ – წიგნი? რაზე?
სუსა – ალბათ სიბერეზე.
ზუზუ – მოსაწყენია.
სუსა – ერთ მოხუც კაცზე იქნება და სიბერე ქოხში ასე ერქმევა.
ზუზუ – როგორც ვატყობ, მე შენს მომავალში მოხვედრის ამდენი შანსიც არ მაქ ხო?
სუსა – კარგი რა, ზუზუ! (ცოტა ხანი სიჩუმე)
ზუზუ – რამდენი ხანია არ უთოვია, არა?
სუსუ – არ ვიცი, ხო, მერე რა?
ზუზუ – მე მიყვარს თოვლი, ასე მგონია, როცა თოვს, ყველაფერი ახალშობილი ბავშვივით წმინდა და უცოდველია, თითქოს ქალაქში როდესაც ბევრი ცოდვა და ჭუჭყი დაგროვდება, თოვლი მოდის და გვათავისუფლებს, გვწმინდავს, მერე თითქოს ახლად იბადები, განგება თუ ღმერთი ახალ შანსს გაძლევს, და იცი, რამდენი ხანია არ უთოვია?
მერე და ეგ კარგი არ არის? ალბათ არ დაგროვილა იმდენი ცოდვა რომ მათ გასაწმენდად ითოვოს.
ზუზუ – ჩემი აზრით, სხვაშია საქმე.
სუსა – რაში?
ზუზუ – დაგვივიწყეს, აი, ღმერთს დავავიწყდით.
სუსა – ღმერთს ჩვენ არასდროს დავავიწყდებით.
ზუზუ – აი, მე კი დიდიხანია დავივიწყე, არ მწამს ღმერთის, ღმერთი არ არსებობს.
სუსა – რატო ფიქრობ მასე?
ზუზუ – აბა სად არის? ან სად იყო, როდესაც მშობლები დამეღუპნენ? სად იყო, როდესაც ქუჩაში ვიზრდებოდი და ყველა ვისაც თვალში არ მოუდიოდი, მილაწუნებდა, მაპანჩურებდა, სად იყო, როდესაც სასმლით და სიგარეტით ვიუღინთებოდი, სიცივისთვის რომ გამეძლო, სად იყო, როდესაც პირველი პირსინგი გავიკეთე? სად? თუ კი ყველაფერს ხედავს, რატომ მაინცდამაინც ჩემთან ხუჭავს თვალებს?
სუსა – მასეთი ლაპარაკისთვის შეიძლება ჯოჯოხეთში მოხვდე!
ზუზუ – კაი რა სამოთხე და ჯოჯოხეთი? ნუთუ გჯერა ამ ზღაპრების, რომლებიც ალბათ ისეთმა კაცმა მოიგონა, ვისაც სიკვდილის ეშინოდა.
სუსა – შეიძლება მართლაც ისეთი არ იყოს, როგორიც წიგნებში წერია, მაგრამ სიკვდილის შემდეგ მსგავსი რამ მაინც არსებობს. შენ კიდევ ღმერთის რწმენა არასდროს უნდა დაკარგო. ის ყველგანაა და ყველაფერი შეუძლია.
ზუზუ – კარგი, მაშინ დამაჯეროს მის არსებობაში!
სუსა – როგორ უნდა დაგაჯეროს? ეგ თვითონ უნდა ირწმუნო.
ზუზუ – როგორ? როგორ და აი თოვლი წამოვიდეს და დავიჯერებ.
სუსა – თოვლი?
ზუზუ – ხო, თოვლი, ოღონდ ლურჯი თოვლი. თუ ოდესმე ლურჯად მოთოვს, მაშინ დავიჯერებ.

სუსა – ჰმ, ღმერთი ჯინი კი არაა, სურვილები გისრულოს, ღმერთი ღმერთია, შენ კიდევ მას სამყაროს თავიდან შექმნას თხოვ.
ზუზუ – და რა, თუ ამბობთ, მაგან შექმნაო, ვერ შეცვლის?
სუსა – კარგი რა!
ზუზუ – ანუ სამყაროს შეცვლა არ შეუძლია? არა და ღმერთია. (ჩაიცინა)
სუსა – ზუზუ, მოვრჩეთ რა ამაზე ლაპარაკს!
ზუზუ – არა, მიპასუხე - არ შეუძლია, ღრუბლის დაფერთხვა თუ რაღაც ეგეთი და ლურჯი თოვლის გადმოყრა?
სუსა – არა, არ შეუძლია!
ზუზუ – ო, აი, მე შემიძლია!
სუსა – რა შეგიძლია?
ზუზუ – სამყაროს შეცვლა.
სუსა – მიდი აბა!
ზუზუ – ცოტა დრო მჭირდება და ვიჩალიჩებ.
სუსა – მაგას როგორ იზამ?
ზუზუ – როგორ? როგორ და აი შემიძლია შენ შეგცვალო, ან კიდევ, მართლაც, ლურჯი თოვლი გამოვუშვა თეთრის ნაცვლად. ხო გჯერა ჩემი?
ხო და იცოდე, ერთხელაც მე შევცვლი სამყაროს.
სუსა – ჩემი გმირი! (დასცინებს)

სცენა V

მოქმედება ქუჩაში, ბევრი ნეკერჩხლის ფოთოლი და წყლიანი გუბეები
სუსა – მე სახლში გავალ.
ზუზუ – კაი, მე ცოტახანს დავრჩები რა, მერე დაგირეკავ!
სუსა – წავედი, (გადაკოცნის) მიყვარხარ!
ზუზუ – მეც. (ზუზუ იქვე სკამზე ჩამოჯდება, სიგარეტს გააბოლებს, გვერდიდან ოთხი ბიჭი ამოვა ერთმანეთში ლაპარაკობენ და იარაღით თამაშობენ,
ბიჭი3 – ბიჭო, როგორ დაითრიე, ე?
ბიჭი1 – მამაჩემს მოვპარე, კოლოფში იდო და წამოვიღე.
ბიჭი4 – ისვრის?
ბიჭი – რა ვიცი! არა მგონია! ტყვიებიც არ დევს! (შეამოწმებს)
ბიჭი3 – ე, ეს ნახე!
ბიჭი1 – ვინაა?
ბიჭი4 – აბა მე რა ვიცი? წამო, ვეკაიფოთ!
ბიჭი2 – კაი რას ერჩით!
ბიჭი1 – წამო, წამო, გავერთობით ცოტას.
(შეამჩნევენ ზუზუს, იარაღს დამალავენ და მივლენ, სკამთან შემოუჯდებიან)
ბიჭი1 – ზდაროვა, ბრატ. ბომჟაობ?
ზუზუ – გამარჯობა! არა, ვფიქრობ.
ბიჭი4 – რა გქვია შენ?
ზუზუ – ზუზუ.
ბიჭი1 – რა მაგარი პრიჩოსკა გაქ!
ბიჭი3 – ოუ, სად შეიჭერი? ან ეს შარვალი სად იყიდე, თუ იპოვე სადმე, დაჟე საყურესაც ატარებ?
ზუზუ – არ გეჩვენება, რომ ძალიან ბევრ კითხვას მისვამ?

ბიჭი1 – ბიჭო, ეგეთ პონტში რატომ ხარ? საშუალება არ გაქ და რამე? რამე თუ შეგვიძლია, დაგეხმარებით, ძმაო.
ზუზუ – არა, გაიხარე, უბრალოდ მომწონს, როგორიც ვარ.
ბიჭი1 – ვა, პედერასტი ხარ, ბიჭო?
ზუზუ – არა, ისერა სტერეოტიპული შეხედულება გაქვთ.
ბიჭი3 – როგორი?
ზუზუ – სტერეოტიპული, რადგან საყურე მიკეთია, ეგრევე გადაწყვიტეთ ჩემი ორიენტაცია, შარვალ-კოსტუმიანი გეი რო გაიჩითოს, არ დაიჯერებთ? ბიჭებო, რო გიყურებთ, მგონია, რაღაც კარგად დავიწყებულ შავ-თეთრ ფილმს ვადევნებ თვალს.
ბიჭი4 – როგორ, ბიჭო?
ზუზუ – როგორ და ასე, ჩვეულებრივად, არქივივით წარსულს რო გახსენებს, ისე, სიმართლე გითხრათ მე მეგონა, გადაშენდით.
ბიჭი4 – ოხ ეხლა ამას... (ერთი ბიჭი ზუზუსკენ გაიწევს, მეორე გააჩერებს და თვითონ მიუბრუნდება მას)
ბიჭი1 – მოდი, აბა, ერთი წუთით (ადგებიან და ოდნავ მოსცილდებიან სკამს). როგორ თქვი? (ზუზუ ქვევით დაჯდება, სიგარეტს აუკიდებს) წამოდექი ერთი წამით, ძმაო!
ზუზუ – ჯდომა მირჩევნია.
ბიჭი1 – ბიჭო, წამოდექი, რო გეუბნები, ზნაჩიტ, წამოდექი, გათანაბრებულად ვილაპარაკოთ!
ზუზუ – შეგიძლია შენც ჩამოჯდე, გავთანაბრდებით.
ბიჭი1 – კაროჩე, როგორ თქვი წეღან?
ზუზუ – რა ვერ გაიგეთ, ძმაო? თქვენნაირები წინა საუკუნეში ცხოვრობდნენ, ეგ დრო გავიდა, წარსული ხართ რა, წარსული.
ბიჭი1 – და შენ მომავალი ხარ, არა?
ზუზუ – კი! მე მომავალი ვარ, თავისუფალი და არა შებოჭილი მომავალი, მომავალი, რომელიც საკუთარ თავს არანაირ ჩარჩოში არ ამწყვდევს და ისეთია, როგორიც უნდა.
ბიჭი1 – იცი, რას გეტყვი? შენ თუ მომავალი ხარ, მაგ მომავლის დედას შევეცი. (სახეს ახლოს მიიტანს ჩამჯდარ ზუზუსთან, ზუზუ პირში დაგუბებულ სიგარეტის ბოლს სახეში მიაბოლებს) ვახ, შენი... (ის ბიჭი მას დაარტყამს და კიდევ ორი ბიჭი მივარდება, ურტყამენ გუბეში და ფოთლებში აგორავებენ)
ბიჭი2 – კაი, გეყოთ, ნუ მოკლავთ, მორჩით (ის ყვირის და აშველებს, სხვები კი ისევ ურტყამენ. შემდეგ ორი ბიჭი იქით-აქედან ხელებს დაუჭერენ და ჩამუხლულ ზუზუს მესამე ურტყამს, მეოთხე გაშველებას ეცდება და ის ბიჭი მასაც აუჯიკავებს, მერე ისევ გაკავებულ ზუზუს დაარტყამს)
ბიჭი1 – წარსული გგონივართ არა? ხოდა აი, შენ მუშტი წარსულიდან, კიდევ მხიარულ ხასიათზე ხარ? (ზუზუ იცინის)რა გაცინებს?
ზუზუ – რავი, ტო, რაღაცნაირი ცხვირი გაქ.
ბიჭი1 – ვახ შენი! (ისევ დაარტყამს, როცა მორჩებიან, დაგდებულ ზუზუს მიაგდებულს დატოვებენ და წასვლას დააპირებენ, მაგრამ ზუზუ სიცილს დაიწყებს)
ბიჭი1 – რა გაცინებს?
ზუზუ – შენზე მეცინება-თქო, ხო გითხარი!
ბიჭი1 – რა თქვი, ბიჭო?
ბიჭი2 – შენ სიკვდილი გინდა ე?
ზუზუ – ისე ოთხი ერთზე არაკაცობა არ არის? ნაკაიბიჭარო ნაბიჭვრებო!
ბიჭი1 – მე ვარ, ბიჭო, ნაბიჭვარი?
ზუზუ – ეგ დედაშენს კითხე!

ბიჭი1 – მოგკლავ შენი (იარაღს ამოიტანს, შუბლზე მიადებს)
ბიჭი2 – კოკა, რას შვრები? დაწიე, ბიჭო, იარაღი, თავს დაიღუპავ, კოკა.
ზუზუ – მიდი აბა, მესროლე! მოიცა, შუბლში დამიმიზნე (თავისი ხელით მიიტანა შუბლთან ლულა) ეხა გელოდები, მიდი, მესროლე-თქო, მიდი. (ბიჭმა იარაღი გადატენა)
ბიჭი2 – კოკა, სულ გააფრინე, რას შვები?
ბიჭი1 – ახლაც არ გეშინია? როგორ არა, გეშინია, ჩასვრილი გაქ არა?
ზუზუ – აირტყი (შუა თითს აჩვენებს) (კოკამ ესროლა)
ბიჭი2 – რა ქენი, ბიჭო, მოკალი? (ზუზუსთან ჩაიმუხლება) კოკა, მოკალი.
ბიჭი3 – გარეკე, ტო? (იარაღს წაართმევს)
ბიჭი4 – ეს რა შარი აგვკიდე?
ბიჭი3 – ავითესეთ, სანამ დავუჭერივართ.

სცენა VI

მცირე დადგმა ცეკვის ელემენტებით. 10-12კაცი, სამოთხის და ჯოჯოხეთის ჭიდილი, ზუზუს ირგვლივ შავებში და თეთრებში ჩაცმული კაცები, ბოლოს შებოჭავენ ყველა მხრიდან თოკებით, და დგას ზუზუ, დგას ყელამდე შემოხვეული თოკებით, ირგვლივ ძალიან ნელა მოძრავი ხალხით, რომელიც მას შემოხვევია. (ოთახი სულ თეთრი, ზუზუც თეთრში ჩაცმული, მოშორებით მის ზურგს უკან დგას თეთრში ჩაცმული ქალი.

ქალი – ღმერთის გწამს?
ზუზუ – სად ვარ? ეს რა არი?
ქალი – კითხვაზე მიპასუხე!
ზუზუ – რა შენი საქმეა?! შენ, ჯობია. ამიხსნა, სად ვარ!
ქალი – შენ მკვდარი ხარ!
ზუზუ – ნუღარ მეკაიფებით, დროზე თქვით, რა ხდება!
ქალი – არ გახსოვს?
ზუზუ – რა უნდა მახსოვდეს?
ქალი – ქუჩაში ბიჭებს რო აეკიდე. რა გეგონა, ბევრს რო ლაპარაკობდი?
ზუზუ – რა? შენ საიდან იცი?
ქალი – მე ყველაფერი ვიცი! ახლა კი მიპასუხე, ღმერთის გწამს?
ზუზუ – თუ ყველაფერი იცი, რაღას მეკითხები?
ქალი – პასუხის გეშინია, არა?
ზუზუ – მე რა, მართლა მკვდარი ვარ?
ქალი – ჯერ კიდე ვერ მიხვდი?
ზუზუ – ანუ სიკვდილის მერე არსებობს სიცოცხლე და რამე?
ქალი – მე ამას სიცოცხლეს ვერ დავარქმევდი, აქ უფრო ჭიდილია უფალსა და სატანას შორის ვინ – უფრო მეტ კაცს წაიყვანს თავისთან.
ზუზუ – მერე და ვინ იგებს?
ქალი – აბა თუ მიხვდები?.. შენ ჯერ კიდევ არ ხარ საბოლოოდ გარდაცვლილი და გადმოსული ამ სამყაროში.
ზუზუ – ეს რას ნიშნავს?
ზუზუ – შენ ჯერ კიდევ განკითხვის დღე გელის, ან სამოთხეში გაგიშვებენ, ან ჯოჯოხეთში.

ზუზუ – მე სამოთხეში ვინ გამიშვებს? ღადაობ?
ქალი – ხო, ეგ მართალია, თუმცა სამოთხე არაა ისეთი ზდაპრული შენ რომ გგონია. უბრალოდ, აქეთ იქით მოსიარულე სულები და მოწყენილობა, თუნდაც არც სიგარეტი, არც სასმელი და არც სხვა სიამოვნება. მოკლედ, არაა ისეთი, როგორც ფიქრობ.
ზუზუ – შენ რა იცი, მე რას ვფიქრობ და რა გონია?
ქალი – ყველა ადამიანს ერთნაირი შეხედულება აქ სამოთხეზე.
ზუზუ – მე არცერთ ადამიანს არ ვგავარ!
ქალი – შეიძლება!
ზუზუ – შენ ვინ ხარ, ანგელოზი?
ქალი – ერთ დროს ვიყავი.
ზუზუ – აბა ეხლა ვინ ხარ? (ნაბიჯების ხმა გაისმის)
ქალი – მოდიან.
ზუზუ – ვინ?
ქალი – მატყუარები, ფარისევლები მოდიან.
ზუზუ – ვერაფერს ვხვდები, შენ ვინ ჯანდაბა ხარ?
ქალი – მე ის ვარ, ვინც ბედნიერებას მოგიტანს, ისინი გეტყვიან, რომ დედამიწაზე უნდა დაბრუნდე, არ დათანხმდე, არ დაუჯერო, გეტყვიან, რომ სუსა უნდა გადაარჩინო სიკვდილს, არც ეს დაუჯერო. დააცადე სუსას, ის გააკეთოს რისი გაკეთებაც უნდა და თქვენ მთელი უსასრულობა ერთად იქნებით.
ზუზუ – ვერაფერი გავიგე, სუსა რა შუაშია! რა სჭირს სუსას?
ქალი – მალე ყველაფერს მიხვდები, ახლა კი მიპასუხე, ღმერთის გწამს? ჩქარა, თორემ მოვიდნენ! უნდა წავიდე, მიპასუხე, მიპასუხე დროზე! (ნაბიჯის ხმა გაძლიერდება, ყველაფერი ჩაქრება და მოქმედება გაგრძელდება, ოთახში შუქის ანთებისთანავე)

სცენაVII

ოთახში დგას თეთრი მაგიდა თეთრი სკამები, ზუზუ სკამზე ზის და ორი თეთრში ჩაცმული ადამიანი თავს დასტრიალებს. მოკლედ, ყველაფერი თეთრია) გიორგი (ანგელოზი1) – გამარჯობა ზუზუ!
ზუზუ – საიდან იცი, რა მქვია?
გიორგი – მე ყველაფერი ვიცი.
ზუზუ – კიდე რამდენჯერ უნდა გავიგნო ეგ სიტყვები, მოკლედ, აქ ყველამ ყველაფერი იცის, არა?
საბა (ანგელოზი) – რა თქვი?
ზუზუ – შენ კიდევ ვინ ჯანდაბა ხარ?
საბა – მე ანგელოზი ვარ, საბა მქვია, წეღან რა თქვი? კიდევ ვისგან მოგისმენია ეს სიტყვები?
ზუზუ – ვიღაც ქალმა მითხრა!
გიო – ვინ ქალმა? რაო, ვინ ვარო, რა გითხრა?
ზუზუ – რავი, ვერ გავიგე, მგონი, ეგეც ანგელოზი უნდა იყოს თუ რაღაც ეგეთი.
გიო – უეჭველი ის იქნებოდა!
საბა – ხო ეგ იყო!
ზუზუ – ვინ? ვიზე ლაპარაკობთ? ვინ რა იყო?
საბა – თვით სატანა.
ზუზუ – რა?
საბა – ხო, შენ მას ელაპარაკე!

ზუზუ – რა ეშმაკი გარეკეთ, ვერ გაიგეთ, ქალი იყო მეთქი!
საბა – მერე რა? მას შეუძლია ნებისმიერი არსების სახე მიიღოს.
ზუზუ – მოიცა, მას რაღაცის შეეშინდა, ნაბიჯების ხმა გაიგო და გაუჩინარდა.
გიო – ხო, ჩვენ გამო წავიდა.
ზუზუ – თქვენ გამო? მოიცა, რა გინდა, რომ თქვა, ეშმაკს შენი ეშინია? და შენ არ გეშინია მისი?
გიო – მე ეშმაკზე მეტად ადამიანების მეშინია!
ზუზუ – არ მჯერა თქვენი, არ მჯერა, რომ ის ქალი ხორცშესხმული სატანაა და თქვენ კიდევ ანგელოზები რომ ხართ! თან მან მითხრა, რო არ უნდა დამეჯერებინა თქვენთვის, რომ ფარისევლები და მატყუარები ხართ (მაგიდაზე ფეხებს შემოაწყობს)
გიო – მე მიყურებ? მე სულის ანგელოზი ვარ! ადამიანების შესახებ ყველაფერი ვიცი.
ზუზუ – მე კიდევ ჯონი დეპი ვარ და ყველა ქალის დაკერვა შემიძლია!
საბა – ჯონი დეპი ვინ არის?
ზუზუ – როგორ თუ ვინ არის, ის ჯონი დეპი.
საბა – რომელი ის ჯონი დეპი?
ზუზუ – კაი, დაიკიდე, ეხლა კი სიმართლე მითხარი, ვინ ხარ? და რა შარში მოვხვდი.
გიო – ჩვენ მართლა ანგელოზები ვართ.
ზუზუ – კი! მჯერა, მაგრამ ეს რა არის? (ხელს დაუჭერს, სახელოს აუწევს და სვირინგზე ჰკითხავს) ეს რა ტატუა? სამი ტუზი? ან შენ თვალთან ნაიარევი რომ გაქ, მაგას რითი ახსნი?
საბა – შენ რა გგონია რადგან ანგელოზები ვართ უცოდველები უნდა ვიყოთ? ჩვენც ერთ დროს ადამიანები ვიყავით, და შენსავით პრობლემებით სავსე და აუტანელი ცხოვრებით ვცხოვრობდით დედამიწაზე. 13 წლის ვიყავი, როდესაც ომში გამიწვიეს, წინა ხაზზე საბრძოლველად. პირველი იარაც მანდ მივიღე, (იარაზე ხელს მოისვამს) მაშინ ჯერ კიდევ ხმლებით და ფარებით ვიბრძოდით. გიგვრძნია პაპანაქება სიცხისგან ჰაერში აორთქლებული სისხლის სუნი.
ზუზუ – მოიცა, რამდენი წლის ხარ?
საბა – არ ვიცი, ექვსასის მერე თვლა ამერია!
ზუზუ – ომში დაიღუპე?
საბა – ტყვეობაში!
ზუზუ – მერე გმირი ხარ და რამე?
საბა – კაცის მკვლელი გმირი არ არის.
გიო – მე კიდევ ციხეში რომ ვიჯექი, ეს ტატუ მანდ დამახატეს.
ზუზუ – რისთვის იჯექი? ან ის სამი ტუზი რა პონტში?
გიო – სამი ქილა კიტრის მწნილი მოვიპარე და შევჭამე, თან არავის არ ვაჭამე, სულ მარტომ ჩავსანსლე და იმ პონტში! (ჩაიცინებენ)
ზუზუ – და, ანგელოზები ხართ, ზუსტად იცით?
საბა – ეს ყველაფერი რთული ასახსნელია, ვერაფერს გაიგებ. ჩვენ ყველა ადამიანს სიკვდილის შემდეგ ვესახებით. ყველაზე ყველაფერი ვიცით, თუმცა ყველასთან სხვადასხვანაირი ხასიათი გვაქ, სხვანაირი მეტყველება, აზროვნება. დღეს შენთან რომ ვართ, არაფერი არ ვიცით, გარდა შენი ცხოვრებისა. ჩვენ სამყაროს ანგელოზები ვართ და ამავდროულად კონკრეტულად ერთი ადამიანის ანგელოზები, დღეს კი შენი.
ზუზუ – ო, არასდროს არ მიყვარდა მათემატიკა.
საბა – აკი გითხარი, ვერ გაიგებ-მეთქი.
გიო – იმ ქალმა კიდევ რა გითხრა?

ზუზუ – ღმერთზე მკითხა რაღაც.
გიო – რა?
ზუზუ – გწამს თუ არაო?
გიო – მერე შენ რა უპასუხე?
ზუზუ – მე, არაფერი. სიგარეტი არა გაქვთ?
(საბა ამოიღებს კოლოფს, მაგიდაზე დაუდებს)
ზუზუ – ვა? (წაუკიდებს)
გიო – და გწამს თუ არა?
ზუზუ – არ ვიცი, მაგრამ, თუ შემხვდა, იცი, რას ვეტყვი – ხო ღმერთი ხარ შე კაი კაცო ? არ შეგეძლო, მხოლოდ ლამაზი სამყარო შეგექმნა, ყველანაირი სიმახინჯის გარეშე, მაშინ ნაგავი და ჭუჭყი არ იარსებებდა, „მელოტი და დაბალი“ ასეთი მიმართვები, არ შეგეძლო, მხოლოდ სიყვარულით სავსე სამყარო შეგექმნა, ყველანაირი სიძულვილის გარეშე? მაშინ ხომ არანაირი ღალატი და იმედგაცრუება არ იარსებებდა, ან არ შეგეძლო მხოლოდ კეთილი სამყარო შეგექმნა, ყველანაირი ბოროტების გარეშე? მაშინ ხომ არც ცრემლი და არც შური არ იარსებებდა. არ შეგეძლო, მშვიდობიანი სამყარო შეგექმნა, ომის და ტყვიების გარეშე? არც სიკვდილი იქნებოდა არც ზიზღი. მაშინ ხომ არც ჯოჯოხეთი დაგვჭირდებოდა, არც სამოთხე. მხოლოდ დედამიწა – სიამაყით, სიყვარულით, სიკეთით და მშვიდობით სავსე, ან რატომ გამოყოფ ადამიანებს ერთმანეთისგან, განა ყველა შენი შექმნილი არ არის? ვერაფერს ვერ ვგებულობ, ვერაფერს.
საბა – როგორ? განა კაცის მკვლელი გასაყოფი არ არის სხვისგან, მან ხომ განზრახ დაღვარა სისხლი, ცრემლი.
ზუზუ – მერე და ეგ სისხლი და ცრემლი ღმერთმა არ შექმნა?
გიო – მართალი ხარ, ღმერთმა შექმნა სისხლი, სისხლი, რომელიც ძარღვებში გვიჩქეფს, რომელიც გვათბობს და გვაგრძნობინებს სიყვარულს, წარსულს, სამშობლოს, წინაპარს, ნათესავს, შვილს, ოჯახს. ღმერთის შექმნილია ეს სისხლი და არა ის, რომელიც იღვრება, ძმის სისხლს რომ ძმა ღვრის, ერთი ეროვნება – მეორე ეროვნების სისხლს, მამა –შვილის სისხლს და როცა ადამიანი – ადამიანის სისხლს, ეს სისხლი უფლის შექმნილი არ არის, ეს სისხლი ადამიანმა შექმნა, კაცობრიობამ. და ცრემლები? ცრემლებს რას ერჩი? თუმცა ეს ცრემლებიც ჩვენ არ შევქმენით? ჩვენ არ მივეცით ტირილის უფლება ჩვენს თვალებს? და განა შური, ბოღმა, ძალადობა, მტრობა, სიკვდილი ჩვენი შექმნილი არ არის? გეკითხები, რად კიცხავ უფალს იმისთვის, რაც მისი ბრალი არაა? უმადური ხარ შენ, ადამიანო, უმადური!
ზუზუ – აბა რა! მე ხომ მადლიერი უნდა ვიყო, რომ მან, როდესაც მე პირველად გამიჩნდა ცხოვრებაში მიზანი, როდესაც სიყვარულით სავსე ვიყავი, როდესაც დედამიწის ზურგზე ერთ ადამიანს მაინც ანაღვლებდა ჩემი ბედი, სწორედ მაშინ მომკლეს, როდესაც ბედნიერების გზაზე ვიდექი, ახლა გავა დრო და არც სუსას ვემახსოვრები, ასე უკვალოდ გავქრები ყველასთვის. თუმცა როდის იყო მაინტერესებდა, ვინ რას იფიქრებს ჩემზე?
საბა – ასე ფიქრობ არა? იცი, ცოტა ხნის წინ სუსამ თავის მოკვლა სცადა.
ზუზუ – რა? გაგიჟდით, რა თავის მოკვლა, როგორ არის ახლა?
საბა – კარგად, მაგრამ შემდეგ ჯერზე ალბათ ვერ გადარჩება.
ზუზუ – კი მაგრამ, რატო იკლავს თავს?
გიო – შენ მართლა სულელი ხარ, ხო? მას შენ სიცოცხლეზე მეტად უყვარხარ. შენ კიდევ...
ზუზუ – მეც ძაან მიყვარს!
საბა – ასე რომ ყოფილიყო, ახლა მის გვერდით იქნებოდი.
ზუზუ – რა?

საბა – მოკლედ, სუსას დრო ჯერ არ მოსულა, ის არ უნდა მოკვდეს, მით უმეტეს თავი არ უნდა მოიკლას. შენ დედამიწაზე უნდა დაბრუნდე რამდენიმე საათით და დაარწმუნო, რომ ეს არ ჩაიდინოს.
ზუზუ – დავიბენი. სწორედ ეს მითხრა იმ ქალმა, რომ თქვენ სუსას გადარჩენას მოთხოვდით და თქვენთვის არ უნდა დამეჯერებინა, რადგან თუ სუსას დავაცლიდი, ის ჩემთან იქნებოდა, სამუდამოდ.
საბა – მერე და რა? გინდა შენთან ერთად იყოს ჯოჯოხეთში? შენთან ერთად დაიტანჯოს? როგორი ეგოისტი ხარ, შე უბედურო! შენ როგორ გგონია, მანდ სიყვარულისთვის გეცლება? ის ხომ ჯერ ახლა იწყებს ცხოვრებას, რამდენი რამ უნდა ნახოს კიდევ! ნუთუ ჯოჯოხეთისთვის გემეტება? სწორე ეს გითხრა იმ სატანამ, თუ დარჩები, ის შენთან ერთად იქნება, მაგრამ თუ წახვალ, მას გადაარჩენ. შენი ამბავი როგორ გადაწყდება, მართლა არ ვიცი.
(ზუზუ ადგება, აქეთ-იქით დადის)
ზუზუ – შენ როგორ მოიქცეოდი?
საბა – როგორც ყველა კარგი ადამიანი, სუსას გადავარჩენდი, რა მნიშვნელობა აქ, რა მანძილი და დრო გაშორებს, მთავარია, ის იყოს კარგად, ვინც გიყვარს!
ზუზუ – და მე რომ ყველასგან განსხვავებული ვარ? და მე რომ არ ვარ კეთილი?
(ყველაფერი ჩაქრება. აინთება და სატანა ზუზუს ირგვლივ უვლის, ხელებს სხეულზე უსვამს და ყურში ეჩურჩულება)
(ქალი) სატანა – მასე არ დაუჯერო ისინი იტყუებიან.
ზუზუ – შენ საიდან გაჩნდი?
საბა – ვის ელაპარაკები?
ქალი – მათ არ იციან, აქ რომ ვარ. არ უთხრა!
ზუზუ – არავის!
საბა – რას აპირებ?
ქალი – განერიდე მათ და მე ბედნიერებას მოგიტან, ისინი იტყუებიან.
საბა – ზუზუ!!!
ქალი – მათ შენი სუსას გარეშე დატოვება უნდათ!
საბა – ზუზუ, რა გჭირს?
ზუზუ – რა და ის რომ მკვდარსაც არ მასვენებთ. სულ რაღაცას ელით ჩემგან, ერთი მითხარით, თქვენ რა გაგიკეთებიათ ჩემთვის?
ქალი – მასე, მართალი ხარ!
საბა – ჩვენთვის არაფერს არ ვითხოვთ, სუსაზეა საუბარი. შენ ხომ ის გიყვარს? შენ ხომ მისთვის კარგი გინდა შენ ხომ არა ხარ ცუდი ადამიანი?
ქალი – არ უსმინო!
ზუზუ – რამდენჯერ გითხრათ, ნუ ეძებთ ჩემში ჩვეულებრივ და კარგ ადამიანს, მე ყველასგან განვსხვავდები.
გიო – კარგი, მორჩი, შენ გგონია, რომ ყველასგან განსხვავებული ხარ? სულაც არა, პირიქით, სწორედ რომ შენც ისეთი ხარ, – როგორც ყველა დანარჩენი, სწორედ ამით გავხარ სხვებს, შენც ყველას მსგავსად გინდა, რომ განსხვავებული იყო, გინდა, რომ შენზე ლაპარაკის მიზეზი მისცე ხალხს, და ხალხი ფეხზე გეკიდოს, რაღაც ახალი თქვა, თუნდაც მიუღებელი, თუნდაც არა სწორედ რომ მიუღებელი, ცდილობ, რომ იმიჯი შეიქმნა და სწორედ ამით ემზგავსები სხვებს, ამით ემზგავსები კაცობრიობას, შენ რომ გკითხო, მიპასუხებ, რომ ის ხარ, რაც ხარ, მაგრამ მე ხომ ვიცი, გულის სიღრმეში სულ სხვა ადამიანი ხარ. მე ხომ სულის ანგელოზი ვარ და ვიცი შენი ყოველი ამოსუნთქვა, შენი ყოველი ფიქრი ვიცი, ვიცი, როგორ ნატრობდი ჩვეულებრივ ოჯახში დაბადებას, თუნდაც მსოფლიოში ყველაზე უღარიბეს ოჯახში, ოღონდ მშობლები გყოლოდა, ოღონდაც ვინმესთვის დაგეძახნა დედა, ვინმესთვის

დაგეძახნა მამა. როგორ ნატრობდი იმას არ ყოფილიყავი ისეთი, როგორიც ხარ, მე ვიცი, რას ფიქრობდი, როდესაც არაყსა და ღვინოს სვამდი, შენ ფიქრში ამბობდი – „ღმერთო რა საზიზღრობაა! ღმერთო, როგორ არ მინდა ამის დალევა!“, ფიქრისას კი არ იტყუებიან. და რა, განა არ იცოდი, როგორ დაასრულებდი იმ ბიჭებთან, რომ არ ისვენებდი და ენას არ აჩერებდი. შენ ყველაფერი იცოდი, გინდოდა კიდევაც სიკვდილი, რადგან დაიღალე ამდენი დაცინვით. დაიღალე იმით რომ საზოგადოებისთვის მიუღებელი ხარ. რამდენჯერ გინატრა სუსასთან ერთად ყველასგან გადაკარგვა, დედამიწის დატოვება და გაქცევა. მხოლოდ მის გამო ითმენდი, მხოლოდ სუსას გამო. იმ დღეს კი ნებისყოფამ გიმტყუნა.
ქალი – შენ ხომ არ უსმენ მას, ის ხომ ფარისეველია.
ზუზუ – მორჩი! მორჩი! მომცილდი.
ქალი – ზუზუ, დამიჯერე!
საბა – ზუზუ, ვის ელაპარაკები?
ზუზუ – აბა რა გითხრათ? თქვენ უფრო მეტი იცით ჩემზე, ვიდრე მე თვითონ საკუთარ თავზე. სიმართლე გითხრათ, ერთი წამითაც არ მიფიქრია ის, რომ სუსას სიკვდილის უფლებას მივცემ. მე ხომ სუსა საკუთარ თავზე მეტად მიყვარს. რაც არ უნდა მოხდეს, რა ცეცხლშიც არ უნდა დავიწვა, თუნდაც მთელი უსასრულობა მის გარეშე გავატარო, მისი ტანჯვის უფლებას ჯერ საკუთარ თავს და შემდეგ არც არავის არ მივცემ. თქვენ კიდევ არ იცით, რას ნიშნავს სუსა ჩემთვის, ის ჩემთვის ყველა და ყველაფერია, გაამზადეთ დედამიწის ბილეთი, სახლში ვბრუნდები.
(სატანას ძალიან ხმამაღალი კივილი და გაქრობა)
გიო – ეს რა იყო?
ზუზუ – როდის მივდივარ?
საბა – ასეც ვიცოდი, დაგაბრუნებთ, რაც შეიძლება, მალე, ოღონდ ერთი პირობა გვაქ!
ზუზუ – პირობა?
გიო – ხო, შენს გარეგნობასთან დაკავშირებით.
ზუზუ – კარგი, მაშინ მეც მაქ ერთი პირობა.
გიო – შევთანხმდით.

სცენაVIII

მოქმედება სუსას სახლში, სუსა და მისი ძმა ინვალიდის ეტლში, სუსა ლოგინზე წევს და ცდილობს მის ძმას არ მოუსმინოს, ნოდიკო სიგარეტს ეწევა და ეტლით დადის.

ნოდიკო – არა, მეც ძალიან მიყვარდა ზუზუ, მაგრამ თვითმკვლელობა? ეს ხომ ყველაზე დიდი ცოდვაა! კი, ის შენთვის ბევრს ნიშნავდა, მოხდა ასე და რა ვქნათ? ცხოვრება უნდა გააგრძელო. ჩემზე სულ არ ფიქრობ? მე რა ვქნა უშენოდ? შენსავით თავი მოვიკლა? (კარზე ზარის ხმა გაისმის, ნოდიკო კარს გააღებს)
ზუზუ – გამარჯობა (კარში ზუზუა, შეცვლილი, თმა დავარცხნილი, საყურე მოხსნილი, პიჯაკში და შარვალში, კლასიკურად ჩაცმული.ისეთი შეცვლილია, რომ ნოდიკო ვერ იცნობს)
ნოდიკო – გაგიმარჯოს.
ზუზუ – სუსა სახლშია?
ნოდიკო – კი, სუს

ზუზუ – გთხოვთ არ დაუძახოთ!
ნოდიკო – ნაცნობი, სახე გაქვთ, ხო არ ვიცნობთ ერთმანეთს?
ზუზუ – არა მგონია.
ნოდიკო – ხო, ისე თქვენ ვინ ბრძანდებით?
ზუზუ – მე ჯოჯოხეთიდან გახლავართ.
ნოდიკო – რა?
ზუზუ – სუსას უთხარით, სახურავთან ველოდები, ჩვენს ადგილზე.
ნოდიკო – სად?
ზუზუ – ასე უთხარით, გთხოვთ!
ნოდიკო – და რა გქვია? რომ იკითხოს?
ზუზუ – თვითონ მიხვდება!
ნოდიკო – კარგი. (ზუზუ წავა, ნოდიკო კარს დახურავს და სუსას ეტყვის)
ნოდიკო – სუსა, ვიღაც უცნაური ბიჭი იყო მოსული. შენ გიკითხა, თქვა, რომ სახურავთან გელოდება, ჩვენს ადგილზეო, ასე მითხრა (სუსა ადგება)
სუსა – რა? და ვინ იყო?
ნოდიკო – არ ვიცი! ისე ნაცნობი სახე კი ჰქონდა.
სუსა – რა მქვიაო? რა გითხრა?
ნოდიკო – მითხრა, რომ თვითონ მიხვდებაო.
სუსა – ვაიმე ნოდიკ!
ნოდიკო – რა იყო?
სუსა – ვაიმე, ნოდიკ! (სუსა გაიქცევა გარეთ)
ნოდიკო – სუსა, მოიცადე სუსა ვინმე ამიხსნის რა ხდება?

სცენა IX

მოქმედება სახურავზე, ზუზუ ელოდება სუსას, სუსა მოვიდა.

სუსა – ზუზუ?
ზუზუ – ხო, სუსა, მე ვარ.
სუსა – არა, შენ ხომ მკვდარი ხარ?
ზუზუ – არა, სუსა, მე ვარ,
სუსა – დაუჯერებელია!
ზუზუ – მე ვარ, მე, სუსა (სახეზე მოკიდებს ხელს და მერე მაგრად ჩაიკრავს) დამშვიდდი, სუსა, ყველაფერს აგიხსნი! მე აქ ერთი დღით დავბრუნდი.
სუსა – რა?
ზუზუ – ჩუმად, მომისმინე, შემომხედე და მომისმინე ეს მე ვარ, ზუზუ, შენი ზუზუ.
სუსა – მართლა შენ ხარ, ზუზუ?
ზუზუ – ხო, მე ვარ!
სუსა – ვაიმე, ზუზუ! (სუსა ჩაეხუტება) სად იყავი ზუზუ?
ზუზუ – შორს. გავიგე, რომ თავის მოკვლა გიცდია და ამიტომ დავბრუნდი.
სუსა – ხო, ზუზუ, უშენოდ არ შემეძლო.
ზუზუ – შემპირდი, რომ ამ იდიოტობას აღარასოდეს აღარ გაიმეორებ!
სუსა – შემპირდი, რომ არ წახვალ!
ზუზუ – მოდი, ჩამოვჯდეთ. (სახურავზე ჩამოჯდებიან) სუსა, მე მოვკვდი.
სუსა – ახლა ხო ცოცხალი ხარ? რა მნიშვნელობა აქ, რა და როგორ!

ზუზუ – ცოცხალი? არა.
სუსა – რა აბა?აბა როგორ?
ზუზუ – მე შენ გამო დავბრუნდი,სულ ცოტა ხნით დამაბრუნეს, რომ შენ არ მოგცე სიკვდილის უფლება.
სუსა – და მერე წახვალ?
ზუზუ – ხო, წავალ!
სუსა – არა, ზუზუ, დარჩი, გთხოვ!
ზუზუ – არ შემიძლია.
სუსა – მაშინ მეც შენთან ერთად წამოვალ.
ზუზუ – ვერა, სუსა, ვერ წაგიყვან.
სუსა – თავს მოვიკლავ და მაშინ მაინც ვიქნებით ერთად.
ზუზუ – მორჩი – მეთქი, მეტჯერ ნუ იტყვი მაგას, შენი დრო ჯერ არ მოსულა.
სუსა – აბა რა ვქნა?
ზუზუ – ცხოვრება გააგრძელე, შენ კიდევ დიდხანს უნდა იცხოვრო. იცი, იქ ისეა, როგორც წიგნებში, სამოთხე და ჯოჯოხეთი. იცი, კიდევ ყველა ადამიანს საკუთარი ანგელოზი ჰყავს, დღეიდან მე შენი ანგელოზი ვიქნები და ცუდისგან დაგიფარავ, ის დროც მოვა, როდესაც ჩვენ ერთად ვიქნებით, სამუდამოდ ერთად.
სუსა – რატო დავანებოთ დროს? ჩვენ ახლაც შეგვიძლია ერთად ვიყოთ.
ზუზუ – სუსა, შენ თუ იმას გააკეთებ, რისი გაფიქრებაც მზარავს, ჩვენ აღარასდროს ვიქნებით ერთად. გესმის? არასდროს!
სუსა – რა ვქნა უშენოდ?
ზუზუ – მე სულ შენთან ვიქნები, ხომ გიყვარვარ?
სისა – კი.
ზუზუ – მეც ძალიან მიყვარხარ! იცი, რა მითხრა, ერთმა კეთილმა ადამიანმა? რა მნიშვნელობა აქვს დროს და მანძილს, მთავარია, ის იყოს კარგად, ვინც გიყვარს, მთავარია, ის იყოს ბედნიერი. კარგი, ცრემლები არ დამანა, ხო, იცი, კიდევ რას მივხვდი? ღმერთი არსებობს. მნიშვნელობა არა აქ, როგორ ჩაივლის შენი ცხოვრება, კარგად თუ ცუდად, ყოველთვის უფლის რწმენით უნდა იცხოვრო, მივხვდი, რომ ღმერთი ჩვენშია და ამიტომაც შველა საკუთარ თავში უნდა ვეძიოთ.
სუსა – მე როგორ ვიცხოვრო?
ზუზუ – ისე, როგორც ყველა ცხოვრობს, და ყოველთვის ის იყავი, რაც გულის სიღრმეში ხარ, უბრალო. კარგი ადამიანი ხომ უბრალო ადამიანია.
სუსა – შენ რატომ ხარ ასეთი შეცვლილი?
ზუზუ – ჰმ, ეს? ანგელოზებმა იმაიმუნეს.
სუსა – რა?
ზუზუ – არა, არაფერი, სისულელეებს ვამბობდი, სიმართლე გითხრა, მე მთელი ცხოვრება ვიყავი შეცვლილი. მხოლოდ ახლა ვიპოვე ჩემი თავი.
სუსა – მე ისეთიც მომწონდი, მაგრამ ასეც არა გიშავს. (გაიცინებენ)
ზუზუ – სუსა რა მალე მომნატრებიხარ? გთხოვ ყველა არასწორი წამი და სიტყვა მაპატიე რაც ოდესღაც შენთვის მიწყენინებია, მხოლოდ კარგი რამეები გაიხსენე ხოლმე, კარგი. არასოდეს არ ინატრო ჩემთან ყოფნა, ჩვენ ხომ უკვე ვიყავით ერთად, ხომ ყველაფერ კარგს აქვს დასასრული. კიდევ ნურასდროს ნუ მოხვალ ჩემს საფლავზე, მე იქ არ დაგხვდები. ყოველთვის გჯეროდეს, რომ მუდამ შენთან ვიქნები, რაც უნდა მოხდეს, აი, აქ მკერდის მფეთქავ მხარეში, (გულთან მიუტანს ხელს) გთხოვ, ცხოვრება გააგრძელე, შენ ხომ პედიატრიც უნდა გამოხვიდე, ბევრი შვილი უნდა გეყოლოს და სიბერეში წიგნი უნდა დაწერო, გამახსენე, რა უნდა დაარქვა? „ბაბუს ფაცხა“ თუ რაღაც ისეთი ხო? (ტირის)
სუსა – (ჩაიცინებს ნამტირალევი სახით, ისიც ტირის) „სიბერე ქოხში”

ზუზუ – ხო, „სიბერე ქოხში“. მორჩი, ნუღარ იტირებ. გახსოვს, ლურჯ თოვლზე და სამყაროს შეცვლაზე გელაპარაკებოდი?
სუსა – კი.
ზუზუ – სამყაროს შეცვლაზე ადვილი არაფერია, უბრალოდ, ფანტაზიის უნარი და მონდომება სჭირდება, უკვე უნდა წავიდე, იქ ძალიან მკაცრი გრაფიკია.
სუსა – ზუზუ არა! არ წახვიდე! უშენოდ რა ვქნა! გთხოვ! სულ ცოტა ხანიც!
ზუზუ – ზაფხულობით, როდესაც, პირველი, აისის მზის სხივი შემოეხვევა დედამიწას, სულ რომ ბოლს აადენს სიმხურვალით, ხიდქვეშ მდინარეებს აადუღებს, ჰაერს სითბოთი გაჟღინთავს და შენ რომ შეგცივდება, უჩემობის სიცივე, რომ აგაკანკალებს, გაიხსენე ზამთრის ეს სუსხიანი დღე, როდესაც ირგვლივ სიცივე იყო გაბატონებული, ფანჯრები სულ განისლულიყვნენ, რაფასთან კი ერთმანეთში შეყუჟული ბეღურები გაზაფხულის მოსვლას ელოდნენ, ციდან ლურჯად თოვდა და შენ თბილად იყავი ჩემს გვერდით, ჩემი სიყვარული გათბობდა (ზუზუ გადაეხვევა სუსას და სახურავი ლურჯად განათდება, ლურჯი თოვლი წამოვა. ცოტა ხნის შემდეგ ზუზუ აკოცებს სუსას, ადგება, წავა და სიბნელეში დაიკარგება)
სუსა – ზუზუ, არ დამტოვო, ზუზუ, დაბრუნდი, სად მიდიხარ, ზუზუ?!
(დაჩოქილი ხელებში თავს ჩარგავს, შემდეგ წინ გაიშვერს, რომ ხელის გულებზე დაათოვოს, სულ აცრემლებულია).

დასასრული